განკარგულება:**გ-47.47232715**
თარიღი:**28/09/2023**

განკარგულება N45

დაბა ჩოხატაურში წერეთლის ქ. N1-ში მდებარე N28.01.22.1080 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის მეორე სართულზე განთავსებული 272.30 კვ.მ. ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61– ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, დაბა ჩოხატაურში წერეთლის ქ. N1-ში მდებარე N28.01.22.1080 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის მეორე სართულზე განთავსებული 272.30 კვ.მ. ფართის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი“-სათვის (ს/კ - 441994816) 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი